ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საფეხურზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის" 39-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2014-2015 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 2 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით, ქვემოთჩამოთვლილ მისამართებზე:

ა) ბიზნესის სკოლა - ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5, ოთახი E307, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,10:00 საათიდან 18:00 საათამდე;

ბ) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - ჭავჭავაძის გამზირი №32, ოთახი A206, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,10:00 საათიდან 18:00 საათამდე;

გ) სამართლის სკოლა - ჭავჭავაძის გამზირი №32, ოთახი A404, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე;

დ) საინჟინრო ფაკულტეტი - ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5, ოთახი E336 ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

2. 2014-2015 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე რეგისტრაციაგავლილ აბიტურიენტებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2014 წლის 24 სექტემბერი;

3. ფაკულტეტების/სკოლების დეკანებს დაევალოთ უზრუნველყონ ინგლისური ენის გამოცდის ჩატარება და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;

4. 2014-2015 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის დაწყების მსურველმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების პლასტიკური ბარათი (სასურველია);

გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);
ე) 1 ფოტოსურათი ზომით $^3/_4$ და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).

5. ფაკულტეტებს დაევალოთ, არაუგვიანეს 2014 წლის 27 სექტემბრისა უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინონ იმ აბიტურიენტთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება;

6. სარეგისტრაციო პორტალის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, გიორგი ბასილაიას;

7. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;

8. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, საინჟინრო ფაკულტეტს, ბიზნესის სკოლას,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ფინანსების ადმინისტრირების მიმართულებით, რექტორის მოადგილეს.

რექტორი **გიგა ზედანია**